თამაზ მჭედლიძე

# პირველნაბეჭდი ქართული წიგნები



თამაზ მჭედლიძე

# პირველნაბეჭდი ქართული წიგნები

«Издательские решения»

**Მჭედლიძე Თ.**

Პირველნაბეჭდი ქართული წიგნები / Თ. Მჭედლიძე —
«Издательские решения»,

ISBN 978-5-44-902371-1

Წიგნში ნაჩვენებია ადრეული ქართული სასტამბო შრიფტებიდა მათი შემქმნელების ვინაობა, განხილულია 1629—1818 ᲬᲬ. გამოცემული ძველნაბეჭდი ქართული წიგნები. Წიგნი მოიცავს 241 ილუსტრაციას და 10 ტაბულას. Გამოყენებული ლიტერატურის სია შესდგება 151 დასახელებისაგან. Ტექსტი გამართულია მთავრული ასოებით, რომლებითაც იწყება წერტილის შემდეგ ახალი წინადადება და აგრეთვე პირადი და საკუთარი სახელები. Ეს წესი მოქმედებს სხვა ევროპულ დამწერლობებში და ქართულშიც ფართოდ იყო ხმარებაში მე–19 საუკუნის მეორე ნახევრამდე.

ISBN 978-5-44-902371-1

© Მჭედლიძე Თ.
© Издательские решения

# Содержание


| | |
|---|---|
| წინასიტყვაობა | 6 |
| ადრეული სასტამბო შრიფტები | 7 |
| რომში გამოცემული წიგნები (1629—1797 წწ.) | 10 |
| არჩილის მიერ მოსკოვში გამოცემული «Დავითნი» (1705 წ.) | 14 |
| Конец ознакомительного фрагмента. | 15 |

# პირველნაბეჭდი ქართული წიგნები

## თამაზ მჭედლიძე

© თამაზ მჭედლიძე, 2018

ISBN 978-5-4490-2371-1
Создано в интеллектуальной издательской системе Ridero

# წინასიტყვაობა

წიგნში ნაჩვენებია ადრეული ქართული სასტამბო შრიფტები და მათი შემქმნელების ვინაობა, განხილულია 1629—1818 წწ. გამოცემული ძველნაბეჭდი ქართული წიგნები. წიგნი მოიცავს 241 ილუსტრაციას და 10 ტაბულას. გამოყენებული ლიტერატურის სია შესდგება 151 დასახელებისაგან.

ტექსტი გამართულია მთავრული ასოებით, რომლებითაც იწყება წერტილის შემდეგ ახალი წინადადება და აგრეთვე პირადი და საკუთარი სახელები. ეს წესი მოქმედებს სხვა ევროპულ დამწერლობებში და ქართულშიც ფართოდ იყო ხმარებაში მე—19 საუკუნის მეორე ნახევრამდე.





Თამაზ Მჭედლიძე.
2018 წელი

# ადრეული სასტამბო შრიფტები

1628 წელს რომში სტეფანო პაოლინისა და ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის) მიერ დამზადდა პირველი ქართული სასტამბო შრიფტი, რომლითაც 1629 წელს დაიბეჭდა «ქართულ-იტალიური ლექსიკონი» და «ქართული ანბანი ლოცვებითურთ».



*სტეფანო პაოლინის და ნიკიფორე ირბახის პირველი ქართული სასტამბო შრიფტი (1628 წ.)*



*მხედრული ასოების ელემენტების მოხაზვის თანმიმდევრობა და მიმართულება. «ქართულ-იტალიური ლექსიკონი». რომი, 1629 წ.*

1643 წელს რომში ამავე შრიფტით დაიბეჭდა ფრანცისკო-მარია მაჯიოს «ქართული გრამატიკა». ფ.-მ. მაჯიო შვიდი წლის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველოში რომის პაპის დავალებით ქართული ენის, დამწერლობის და გრამატიკის შესასწავლად. ამ წიგნის მეორე გამოცემა გამოვიდა 1670 წ.


Aliarum maiuſcularum literarum.

| Figura | Poteſtas | Figura | Poteſtas |
|---|---|---|---|
| ა | A | მ | M |
| ბ | B | ნ | N |
| გ | Gh | ჲ | Hhuie |
| დ | D | ო | O |
| ე | E | პ | P |
| ვ | V | ჟ | Sg |
| ზ | Sz | რ | R |
| ჱ | H | ს | S |
| თ | Th | ტ | T |
| ი | I | უ | V |
| კ | Ch | ფ | Ph |
| ლ | L | ქ | K |
| ღ | Ghh | ჭ | Cc |
| ყ | Cq | ხ | Chh |
| შ | Sc | ჴ | Hh |
| ჩ | C | ჯ | G |
| ც | Zz | ჰ | Hh |
| ძ | Z | ჵ | Hb |
| წ | Tz | | |

*CAPVT SECVNDVM.*

Literarum diuiſiones.

Literas Iberorum, primò partior in vocales, & conſonantes.
Vocales ſunt quinque.
ა An: ე En; ი In: ო On: უ Vn.
ა An, valet A, vt ამპართავანი Amparthauani, *inflatus, imperioſus*.
ე En, valet E, vt ელვა Elua, *fulgur*.
ი In, valet I, იდაყვი Idacqui, *cubitum*.
ო On, valet O, ore aperto prolata, vt ოფლი Ophli, *ſudor*.
უ Vn, valet V, vt უნაღირი Vnaghiri, *epiphium*.
Conſonantes ſunt trigintaduo.
ბ Ban: გ Ghan: დ Don: ვ Vin: ზ Szen: ჱ He: თ Than: კ Chan: ლ Las: მ Man: ნ Nar: ო On: პ Par: ჟ Sgian: რ Rae: ს San: ტ Tar: ფ Phar: ქ Kan: ღ Ghhan: ყ Cqar: შ Scin: ჩ Cin: ც Zzan: ძ Zil: წ Tzil: ჭ Cciar: ხ Chhan: ჴ Hhar: ჯ Gian: ჰ Hhae: ჵ Hhoe.
Secundò in mutas, & plenas diuido conſonantes.
Plenæ ſunt tres,
რ Rae: ჰ Hae: ჵ Hhoe.

ფრანცისკო-მარია მაჯიო. «ქართული გრამატიკა». რომი, 1670 წ.

მე-17 ს. 80-ან წლებში მეფე არჩილ II უკავშირდება ამსტერდამის ბურგომისტრს ნიკოლა ვიტცენს და შვედ მეცნიერს, დიპლომატ იოჰან შპარვენფელდს, ხოლო მათი მეშვეობით ამსტერდამში მოღვაწე სახელგანთქმულ ასოთამწყობსა და ჩამომსხმელს მიკლოშ ტოტფალუშ კიშს, რომელსაც დაავალა ქართული სასტამბო შრიფტის დამზადება.



*მიკლოშ ტოტფალუშ კიშის მიერ დამზადებული ქართული შრიფტი (ამსტერდამი, 1687 წ.)*

არჩილის მიერ შედგენილი ქართული ასოების ნიმუშების გამოყენებით 1687 წელს მიკლოშ კიშმა ჩამოასხა ახალი ქართული შრიფტი, რომელიც შეიცავდა ასომთავრულ, ნუსხურ და მხედრულ ასოებს. ამ შრიფტით 1705 წ. მოსკოვში აიწყო და დაიბეჭდა «დავითნი».

მე-18 ს. დასაწყისში ვახტანგ VI ვლახეთიდან მოიწვია მესტამბე მიხაელ იშტვანოვიჩი (მიხაილ ვალახი, ცნობილი ქართველი მოღვაწის ანთიმოზ ივერიელის მოწაფე). თბილისში მტკვრის პირას, თავისი სასახლის ახლოს, მოაწყო სტამბა და შეუდგა წიგნების გამოცემას. ამ სტამბაში 1709 წ. დამზადდა საქართველოში პირველი ნაბეჭდი წიგნი «სახარება». ამავე წელს გამოიცა «დავითნი» და «სამოციქულო». ეს წიგნები დაიბეჭდა მიხაელ იშტვანოვიჩის (სტეფანიშვილის) მიერვე დამზადებული შრიფტით. 1712 წ. კი განხორციელდა «ვეფხისტყაოსანის» პირველი გამოცემა.



*სახარება. ტფილისი, 1709. ვახტანგის წინასიტყვაობა. მიხაჲ იშტვანოვიჩის მიერ დამზადებული შრიფტი*

# რომში გამოცემული წიგნები (1629—1797 წწ.)

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი გამოიცა რომში 1629 წელს ვატიკანის Propaganda Fide-ს მიერ. «ქართულ-იტალიური ლექსიკონის» ავტორები არიან სტეფანო პაოლინი და ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი). ამავე წელს დაიბეჭდა «ქართული ანბანი ლოცვებითურთ».


Dittionario Giorgiano-Italiano.

ა A

| | | |
|---|---|---|
| აბანო. | abáno, | Bagno. |
| აბაროღა. | abaróga, | Ma che? |
| აბახი. | abáchi, | Di là. |
| აბრეშუმი. | abresciómi, | Seta. |
| აგება. | aghebà, | Compuntione. |
| აღმოზენებელი. | aghmozenebéli | Biastemare. |

*«ქართულ-იტალიური ლექსიკონი». რომი, 1629 წ.*

1643 წელს კი აქვე დაიბეჭდა ფრანცისკო-მარია მაჯიოს «ქართული გრამატიკა». რომის პაპის დავალებით ფ.-მ. მაჯიო შვიდი წლის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველოში ქართული ენის, დამწერლობის და გრამატიკის შესასწავლად. ამ წიგნის მეორე გამოცემა გამოვიდა 1670 წ.



DITTIONARIO
GIORGIANO
E ITALIANO.
COMPOSTO DA STEFANO PAOLINI
con l'aiuto del M.R.P.D. Niceforo Irbachi
Giorgiano, Monaco di S. Basilio.

AD VSO DE' MISSIONARII
della Sagra Congregatione de Propaganda Fide.

IN ROMA,
Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. Fide.
CIↃ DC XXIX.

CON LICENZA DE' SVPERIORI.

*პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი: სტეფანო პაოლინი, ნიკიფორე ირბახი. «ქართულ-იტალიური ლექსიკონი». რომი, 1629 წ.*


141

LITANIÆ

B. MARIAE VIRGINIS.

კირიე ელეისონ

ქრისტე ელეისონ

კირიე ელეისონ

ქრისტე ისმინე ჩუენი

ქრისტე შეისმინე ჩუენი

მამაო ზეცათაო ღმრთო შეგვიწყალენ ჩუენ

ძეო მხსნელო სოფლისაო ღმრთო შეგვიწყალენ ჩუენ

სულო წმიდაო ღმრთო შეგვიწყალენ ჩუენ

წმიდაო სამებაო ღმრთო შეგვიწყალენ ჩუენ

*ქართული ანბანი ლოცვებითურთ. რომი, 1629 წ.*



SYNTAGMATΩN
LINGVARVM
ORIENTALIVM
QVÆ IN GEORGIÆ REGIONIBVS AVDIVNTVR
LIBER PRIMVS
Complectens Georgianæ, ſeù Ibericæ vulgaris linguæ
INSTITVTIONES GRAMMATICAS
AVTHORE
D. FRANCISCO-MARIA MAGGIO,
CLERICO REGVLARI, PANORMITANO.

ROMAE,
Ex Typographia Sacræ Congregationis de Propaganda Fide.
M DC LXX.
SVPERIORVM PERMISSV.

*ფრანცისკო-მარია მაჯიო. «ქართული გრამატიკა». რომი, 1670 წ.*



*ფ.-მ. მაჯიო. «ქართული გრამატიკა». რომი, 1670 წ.*

| რომში გამოცემული წიგნები (1629-1797 წწ.) | | | | |
|---|---|---|---|---|
| | *დასახელება* | *ადგილი* | *წელი* | *შრიფტი* |
| 1 | ქართულ-იტალიური ლექსიკონი | რომი | 1629 | *მთ./ მხ.* |
| 2 | ქართული ანბანი ლოცვებითურთ | რომი | 1629 | *მთ./ მხ.* |
| 3 | ფრანცისკო-მარია მაჯიო. ქართული გრამატიკა | რომი | 1643 | *მთ./ მხ.* |
| 4 | ფრანცისკო-მარია მაჯიო. ქართული გრამატიკა | რომი | 1670 | *მთ./ მხ.* |
| 5 | საქრისტიანო მოძღუარება, მოკლედ დარიგებული მარტჳლთათჳს | რომი | 1741 | მთ./მხ. |
| 6 | საქრისტიანო მოძღუარება. მე-2 გამოცემა | რომი | 1797-1800 | მთ./მხ. |

# არჩილის მიერ მოსკოვში გამოცემული «დავითნი» (1705 წ.)

მე-17 ს. 80-ან წლებში მეფე არჩილ II ამსტერდამის ბურგომისტრს ნიკოლა ვიტცენის მეშვეობით დაუკავშირდა ჰოლანდიაში მოღვაწე ასოთმქანდაკებელს მიკლოშ ტოტფალუშ კიშს, რომელსაც შეუკვეთა ქართული სასტამბო შრიფტის დამზადება. არჩილის მიერ შედგენილი ქართული ასოების ნიმუშების გამოყენებით 1687 წელს მიკლოშ კიშმა ჩამოასხა ახალი ქართული შრიფტი, რომელიც შეიცავდა ასომთავრულ, ნუსხურ და მხედრულ ასოებს. ამ შრიფტით 1705 წ. მოსკოვის სინოდის სტამბაში მოწყობილ ქართულ წიგნთსაბეჭდავში არჩილმა დაბეჭდა «დავითნი».

# Конец ознакомительного фрагмента.

Текст предоставлен ООО «ЛитРес».

Прочитайте эту книгу целиком, купив полную легальную версию на ЛитРес.

Безопасно оплатить книгу можно банковской картой Visa, MasterCard, Maestro, со счета мобильного телефона, с платежного терминала, в салоне МТС или Связной, через PayPal, WebMoney, Яндекс.Деньги, QIWI Кошелек, бонусными картами или другим удобным Вам способом.